

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

დანართი 4

პროცესები

1 შესავალი

- 1.1 წინამდებარე დანართში ასახულია „მაგთიკომსა“ და „კანდიდატს“ შორის „ხელშეკრულები“ თანახმად განსახორციელებელი ძირითადი პროცესები და კომუნიკაციის ტიპები.
- 1.2 ამ პროცესების საბოლოო აღწერილობა შემუშავდება და განისაზღვრება „მაგთიკომის“ მიერ იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე.
- 1.3 დოკუმენტში აღწერილი საბაზისო ოპერაციული პროცესებია:
 - კომუნიკაციის წესები მომსახურების მართვასთან დაკავშირებით;
 - ინდივიდუალური მომსახურების მიწოდება, ცვლილებები და შეწყვეტა;
 - მომსახურების მონიტორინგი;
 - ინციდენტების მართვა.
- 1.4 პირობები დაზუსტდება მოლაპარაკების პროცესში „კანდიდატის“ მოთხოვნის და მისაღები მომსახურებების გათვალისწინებით

2 ზოგადი დებულებები

- 2.1 ამ დანართში განხილული პროცესები შემუშავებულია „მაგთიკომის“ დაშვებისა და სატრანსპორტო ქსელების შეთანხმებული მომსახურებების „კანდიდატისთვის“ მიწოდების უზრუნველსაყოფად, ხოლო ის პროცესები, რომლებითაც შესაძლებელი ხდება მომსახურების ბოლო მომხმარებლებისთვის მიწოდება, წარმოადგენს „კანდიდატის“ ერთპიროვნული პასუხისმგებლობას. ორივე „მხარე“ ვალდებულია ბრალეული გაჭიანურების გარეშე მიიღოს ზომები ამ დანართში განხილული პროცესების ფარგლებში.
- 2.2 მოთხოვნილი გადაწყვეტის ტექნიკურ ან სხვა შესაბამის ასპექტთან დაკავშირებით „მხარეთა“ შორის რაიმე უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, ამგვარი უთანხმოება უნდა გადაწყდეს „ესკალაციის“ პროცესის პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

- 2.3 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია „კანდიდატის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადოს შემდეგ შემთხვევებში:
- 2.3.1 არასათანადო საკომუნიკაციო არხის გამოყენება ან სავალდებულო ინფორმაციის წარუდგენლობა;
- 2.3.2 არსებითად იმავე მოთხოვნის უსაფუძვლოდ წარდგენა, რომელიც „მაგთიკომმა“ უკვე გააანალიზა და დააკმაყოფილა ან არ დააკმაყოფილა;
- 2.3.3 იმ მოთხოვნის წარდგენა, რომელსაც, ჩანს, რომ არ აქვს კომერციული დასაბუთება, ან რომელიც იწვევს იმპლემენტაციის არაგონივრულად მაღალ ხარჯებს;
- 2.3.4 „კანდიდატის“ მიერ „ოფერტის“ ან „ხელშეკრულების“ პირობის შეუსრულებლობა.
- 2.4 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია განახორციელოს იმ ხარჯების დარიცხვა, რომლებიც მას წარმოეშვა „კანდიდატის“ უსაფუძვლო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

3 კომუნიკაციის მეთოდები

- 3.1 ხშირად გამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სტანდარტული ავტომატიზებული კომუნიკაციის მეთოდი განისაზღვრება „მხარეთა“ მიერ (ჩვეულებრივ, B2B ინტერფეისი, რომელიც აისახება „ხელშეკრულებაში“.
- 3.2 სხვა სახის მოთხოვნების შემთხვევაში (არა-ავტომატიზებული), კომუნიკაციის მატრიცა განისაზღვრება წინამდებარე დანართში, პირდაპირი კომუნიკაციის არხების მითითებით.
- 3.3 კომუნიკაციის მატრიცის ცვლილების შემთხვევაში, კომუნიკაციის მატრიცაში თავის საკონტაქტო მონაცემებში ცვლილებების განმახორციელებელი „მხარე“ პასუხისმგებელია მეორე „მხარისთვის“ ბრალეული გაჭიანურების გარეშე ინფორმირებაზე.

4 კომუნიკაციის მატრიცა

- საკონტაქტო პირები და კომუნიკაციის საშუალებები მომსახურების ინსტალაციის, ცვლილებებისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით „მაგთიკომი“:

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

„კანდიდატი“:

- საკონტაქტო პირები და კომუნიკაციის საშუალებები ინციდენტების მართვის საკითხებთან დაკავშირებით

„მაგთიკომი“:

„კანდიდატი“:

- საკონტაქტო პირები და კომუნიკაციის საშუალებები მომსახურების ხარისხის საკითხებთან დაკავშირებით

„მაგთიკომი“:

„კანდიდატი“:

- საკონტაქტო პირები და კომუნიკაციის საშუალებები სხვა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით

„მაგთიკომი“:

„კანდიდატი“:

- საკონტაქტო პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ესკალაციის პროცედურაზე და მომსახურების ოპერირების პროცესებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტაზე

იხილეთ „ესკალაციის“ პროცესი

- დამატებითი საკონტაქტო პირები შეიძლება შეტანილი იყოს საჭიროებისამებრ.

5 ესკალაციის პროცესი

5.1 „მხარეებმა“ ამ პუნქტში წარმოდგენილ „ესკალაციის“ პროცესში შემავალი საკითხები უნდა გადაწყვიტონ შემდეგი ესკალაციის ცხრილის მიხედვით:

„კანდიდატის“ წარმომადგენლები:

საკითხი	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე
---------	-----------	-----------	-----------

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

მომსახურების დარიცხვა			
იმპლემენტაციის მიზნები			
მომსახურების გარანტირებული დონე			
ზოგადი დავები			

„მაგთიკომის“ წარმომადგენლები:

საკითხი	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე
მომსახურების დარიცხვა			
იმპლემენტაციის მიზნები			
მომსახურების გარანტირებული დონე			
ზოგადი დავები			

5.2 მხარეთა შორის „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ან „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი დავა პირველად განხილული იქნება 1-ლი დონის წარმომადგენლის მიერ, რომელიც მეორე მხარის 1-ლი დონის წარმომადგენელს წერილობით შეატყობინებს ამგვარი დავის მიზეზს. ამგვარი შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დავის გონივრული დეტალები.

5.3 5.2 პუნქტში მითითებული შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღეში, 1-ლი დონის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან იმ მოქმედებებზე შესათანხმებლად, რომლებიც „მაგთიკომმა“ და „კანდიდატმა“ უნდა განახორციელონ დავის გადასაწყვეტად. იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმომადგენლები შეხვედრიდან 10 სამუშაო დღეში ვერ შეთანხმდებიან (ან თუ რაიმე მოქმედებაზე შეთანხმდებიან, მაგრამ ის წარმომადგენლების მიერ შეთანხმებულ ვადაში არ განხორციელდება), საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემათ ორივე მხარის მე-2 დონის წარმომადგენლებს, რომლებიც ეცდებიან საკითხი შემდგომ 10 სამუშაო დღეში გადაწყვიტონ. იმ შემთხვევაში, თუ მე-2 დონის წარმომადგენლები რაიმე მოქმედებაზე ვერ

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

შეთანხმდებიან, საქმის დაუყოვნებლივ გადაცემა განხორციელდება 5.4 პუნქტის შესაბამისად.

- 5.4 თითოეული მხარის მე-3 დონის წარმომადგენელი ვალდებულია 10 სამუშაო დღეში მოამზადოს და მეორე მხარეს წარუდგინოს ანგარიში ან სხვა სახის განცხადება, რომელშიც ასახულია დარღვევის დეტალები, შესაბამის საკითხზე მათი პოზიცია, და ამ პოზიციის მიღების მიზეზები. ეს ანგარიში განხილული იქნება თითოეული მხარის მე-3 დონის წარმომადგენლის მიერ, რომლებიც ყველანაირად ეცდებიან შეთანხმდნენ იმ მოქმედებებზე, რომლებიც თითოეულმა მხარემ დავის გადასაწყვეტად უნდა განახორციელოს.

6 მომსახურების გააქტიურება, ცვლილება, შეწყვეტა

- 6.1 „კანდიდატის“ ცალკეული ბოლო მომხმარებლისთვის მომსახურების გააქტიურების, ცვლილებისა და შეწყვეტის კონკრეტული პროცესები განისაზღვრება „მაგთიკომის“ მიერ „მომსახურებების“ იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე. ეს კონკრეტული პროცესები დამოკიდებული იქნება „მაგთიკომის“ ქსელზე შეთანხმებული სახის დაშვების ხასიათზე და „კანდიდატის“ აბონენტისთვის მიწოდებულ მომსახურებებზე.
- 6.2 ინდივიდუალურ მომსახურებასთან დაკავშირებით „კანდიდატის“ სტანდარტული მოთხოვნები დამუშავდება წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტში განხილული ავტომატიზებული კომუნიკაციის B2B ინტერფეისით.
- 6.3 თუ კონკრეტული მოთხოვნის (მომსახურების გააქტიურების, ცვლილების, შეწყვეტის ავტომატიზირებული სისტემა (ინტერფეისი) არ არის შეთანხმებული მხარეთა მიერ, „კანდიდატმა“ უნდა გამოიყენოს ამ დანართში მითითებული ფორმა.

7 მომსახურების მონიტორინგი

- 7.1 „მაგთიკომი“ პასუხისმგებელი იქნება რადიო დაშვებისა და სატრანსპორტო ქსელების, და სხვა შეთანხმებული ქსელის ელემენტების მონიტორინგზე. ეს მომსახურება ჩვეულებრივ ხორციელდება NMC-ის (ქსელის მართვის ცენტრის) მიერ საერთო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს შემდეგს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

- ყველა შესაბამისი ქსელის ელემენტებისა და სიგნალიზაციის გააქტიურების მონიტორინგი;
- ყველა შესაბამისი მომსახურების მონიტორინგი;
- ავარიების დარეგულირების პროცესის მართვა;
- მიწოდების პროცესის მხარდაჭერა.

7.2 ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს „კანდიდატისთვის“ ხელმისაწვდომი მონიტორინგის ინფორმაციის მოცულობაზე. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს შემდეგი (თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით):

- რეალური დროის (დაშვება „მაგთიკომის“ მონიტორინგის სისტემის განსაზღვრულ ნაწილებზე),
- „ოფ-ლაინ“ რეჟიმის (ცალკეული მომსახურების ისტორიულ მონაცემებზე დაშვება ან ამგვარი მონაცემების გაცვლა),
- ანგარიშები (რეპორტები).

7.3 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია განახორციელოს „კანდიდატისთვის“ მის სისტემებზე დაშვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სასურველი ანგარიშების დაპროექტებისა და მიწოდების ხარჯების დარიცხვა.

8 ინციდენტების მართვა

8.1 შეტყობინებულ ინციდენტში იგულისხმება მომსახურების შეწყვეტის ან მომსახურების შეზღუდვის შემთხვევები, რომლებიც დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდება ან განმეორებით ხდება.

8.2 ინციდენტების მართვის პროცესის მიზანია რადიო დაშვებისა და სატრანსპორტო ქსელების და ცალკეული მომსახურების მუშაობის სრული ფუნქციონალური და საექსპლუატაციო მდგომარეობით განახლება უმოკლეს შესაძლო დროში და „კანდიდატის“ ბოლო მომხმარებლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

8.3 გაუმართაობის ტალონის (TT) სტატუსის შესახებ ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება კომუნიკაციის შეთანხმებული მეთოდებით (ინტერფეისი). ორივე „მხარე“ კისრულობს ვალდებულებას ერთმანეთი

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

უზრუნველყოს იმ თანამშრომლობით, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

- 8.4** „კანდიდატმა“ ავარიების შესახებ შეტყობინება უნდა განახორციელოს შეთანხმებული საკონტაქტო პირის მეშვეობით. გაუმართაობის ტალონის კონკრეტული გადაწყვეტა განისაზღვრება „მაგთიკომის“ მიერ იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე, მიწოდებული დაშვების მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.
- 8.5** „კანდიდატი“ სრულად იქნება პასუხისმგებელი „კანდიდატის“ საკუთარი ქსელის ელემენტებთან დაკავშირებული ინციდენტების (ავარიების) ლიკვიდაციაზე და „კანდიდატის“ ბოლო მომხმარებლების საჩივრების გადაწყვეტაზე. ზოგადად, „მაგთიკომის“ TT სისტემაში ცალკეული ბოლო მომხმარებლის საჩივრების გაგზავნა არ შეიძლება.
- 8.6** ახალი TT-ის გახსნამდე, „კანდიდატი“ ვალდებულია ჩაატაროს პრობლემის სრულფასოვანი შიდა ანალიზი, რათა გამორიცხოს მის პასუხისმგებლობაში შემავალი გამომწვევი მიზეზები. აღნიშნულის განუხორციელებლობის გამო „კანდიდატს“ შეიძლება დაერიცხოს საფასური უსაფუძვლო მოთხოვნის (TT) წარდგენისთვის.

9 გეგმიური და გადაუდებელი სამუშაოები (PEW)

- 9.1** აქტიურ ელემენტებზე გეგმიური სამუშაო ნიშნავს კონფიგურაციას, ინსტალაციასა და პარამეტრების დაყენებას, რასაც გავლენა აქვს ექსპლუატაციის პროცესში არსებულ ქსელზე და „კანდიდატის“ ბოლო მომხმარებლებზე.
- 9.2** გეგმიური სამუშაოების შესრულება დაიგეგმება ტექნიკური მომსახურების შეთანხმებულ პერიოდებში, თუ ასეთი სამუშაოების ხასიათი და ექსპლუატაციის პირობები ამის საშუალებას იძლევა. ის სამუშაოები, რომელთა შესრულებაც ტექნიკური მომსახურების ასეთ პერიოდებშია დაგეგმილი, არ საჭიროებს „კანდიდატის“ მხრიდან თანხმობას. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ტექნიკური მომსახურების სტანდარტული პერიოდია 00:00-დან 06:00-მდე, და ნებისმიერი PEW-ის შესრულების დრო „მხარეთა“ შორის წინასწარ შეთანხმება.
- 9.3** „მაგთიკომი“ ვალდებულია მისი ქსელის ელემენტებში შესატანი ის მოდიფიკაციები, რომლებიც გეგმიური სამუშაოების ზემოაღნიშნულ

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

პირობაში შედის, „კანდიდატს“ შეატყობინოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადაში.

9.4 PEW-ები გაუმართაობად არ განიხილება, თუ სამუშაოს შესრულების გეგმიური დროების გადაჭარბება „კანდიდატისთვის“ სათანადო შეტყობინების გარეშე არ მოხდა.

10 დარიცხვის მონაცემები

ორივე „მხარე“ ვალდებულია, მომსახურების მიწოდების ხარჯებისა და ანგარიშსწორების თანხების შესაძლო რევიზიის მიზნით, შეინახოს შესაბამისი მონაცემები მიწოდებულ მომსახურებასთან დაკავშირებით დარიცხვის დოკუმენტების (ანგარიშფაქტურების) შესადგენად.

11 სისტემებზე წვდომა

„მაგთიკომი“ უზრუნველყოფს „კანდიდატის“ წვდომას მის ოპერაციულ მხარდაჭერის სისტემებზე, საინფორმაციო სისტემებზე და მონაცემთა ბაზებზე, რაც აუცილებელია „კანდიდატისთვის“ მიერ სერვისის მოთხოვნების, ხარვეზების შეტყობინებების წარდგენისა და ბილინგის პროცესის განსახორციელებლად. აღნიშნული წვდომა ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

10.1 ტექნიკური შეზღუდვები:

„კანდიდატის“ წვდომა შეიზღუდება კონკრეტული IP მისამართებით, მომხმარებლის ავტორიზაციის მონაცემებით და მონაცემთა გადაცემის ლიმიტებით, რომლებიც განისაზღვრება „მაგთიკომის“ მიერ.

10.2 უსაფრთხოება:

„კანდიდატი“ ვალდებულია, დაიცვას „მაგთიკომის“ უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობისა და დაცვის მოთხოვნები.

10.3 პროცედურები:

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

„კანდიდატი“ ვალდებულია, დაიცვას „მაგთიკომის“ დადგენილი პროცედურები სერვისის მოთხოვნების, ხარვეზების შეტყობინებების წარდგენისა და ბილინგის ინფორმაციის მიღებისას.

10.4 კონფიდენციალურობა:

„კანდიდატი“ ვალდებულია, არ გაავრცელოს და კონფიდენციალურად შეინახოს ყველა ინფორმაცია, რომელსაც მიიღებს „მაგთიკომის“ სისტემებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომის შედეგად.

10.5 წვდომის დონე:

„ხელშეკრულებით“ მკაფიოდ იქნება განსაზღვრული რომელ სისტემებზე და მონაცემებზე ექნება წვდომა „კანდიდატს“.

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

მომსახურების მოთხოვნის ფორმა

MVNO და ეროვნული როუმინგის სერვისებისთვის

სექცია 1: ზოგადი ინფორმაცია

1. მოთხოვნის განმცხადებელი სუბიექტის დეტალები:

- ოპერატორის სახელი: _____
- საიდ. ნომერი: _____
- საკონტაქტო პირი: _____
- თანამდებობა: _____
- ელ.ფოსტა: _____
- ტელეფონი: _____

2. მოთხოვნის თარიღი:

- თარიღი: _____
-

სექცია 2: მოთხოვნის ტიპი

1. მოთხოვნის ტიპი:

- ახალი მომსახურების გააქტიურება
- მომსახურების მოდიფიცირება
- მომსახურების დეაქტივაცია
- ტექნიკური მხარდაჭერა
- სხვა (მიუთითეთ): _____

2. მოთხოვნილი სერვისის დეტალები:

- მომსახურების დასახელება/აღწერა: _____
- მოსალოდნელი დაწყების თარიღი: _____
- დამატებითი ინფორმაცია: _____

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

სექცია 3: ტექნიკური ინფორმაცია

1. მომსახურების მოთხოვნები:

- ქსელის კონფიგურაციის დეტალები (თუ ვრცელდება):

- სიჩქარის/ტევადობის მოთხოვნები: _____

2. SIM ბარათის ან მოწყობილობის დეტალები (თუ ვრცელდება):

- SIM-ბარათების/მოწყობილობების რაოდენობა:

- მოწყობილობის სპეციფიკაციები (თუ ვრცელდება):

სექცია 4: პრიორიტეტი და დროის ჩარჩო

1. მოთხოვნის პრიორიტეტი:

- მაღალი
- საშუალო
- დაბალი

სექცია 5: დადასტურება

ვადასტურებ, რომ ზემოთ მითითებული ინფორმაცია ზუსტია და ვეთანხმები მოთხოვნილი მომსახურების პირობებს.

სახელი: _____

თანამდებობა: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული რეგულირების და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

წარდგენის ინსტრუქციები:

1. შევსებული ფორმა გამოაგზავნეთ შემდეგ მისამართზე: [ელ.ფოსტის მისამართი] ან ატვირთეთ დადგენილი ონლაინ პორტალის მეშვეობით: [ბმული].
 2. დამატებითი დახმარებისთვის დაუკავშირდით [მხარდაჭერის გუნდი/ტელეფონის ნომერი].
-

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

მომსახურების მოთხოვნის ფორმა

თანალოკაცია

სექცია 1: ზოგადი ინფორმაცია

1. მოთხოვნის განმცხადებელი სუბიექტის დეტალები:

- ოპერატორის სახელი: _____
- საიდ. ნომერი: _____
- საკონტაქტო პირი: _____
- თანამდებობა: _____
- ელ.ფოსტა: _____
- ტელეფონი: _____

2. მოთხოვნის თარიღი:

- თარიღი: _____
-

სექცია 2: მოთხოვნის ტიპი

1. მოთხოვნის ტიპი:

- ახალი სერვისის გააქტიურება
- სერვისის მოდიფიკაცია
- სერვისის დეაქტივაცია
- ტექნიკური მხარდაჭერა
- სხვა (მიუთითეთ): _____

2. მოთხოვნილი სერვისის დეტალები:

- სერვისის დასახელება/აღწერა: _____
- მისამართი: _____
- მოსალოდნელი დაწყების თარიღი: _____

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული რეგულაციების და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

- დამატებითი ინფორმაცია: _____
-

სექცია 3: ტექნიკური ინფორმაცია

1. სერვისის მოთხოვნები:

- ქსელის კონფიგურაციის დეტალები (თუ ვრცელდება):

- სიჩქარის/ტევადობის მოთხოვნები:

- აპარატურის მონაცემები/სპეციფიკაცია:

-

სექცია 4: პრიორიტეტი და დროის ჩარჩო

1. მოთხოვნის პრიორიტეტი:

- მაღალი
 - საშუალო
 - დაბალი
-

სექცია 5: დადასტურება

მე ვადასტურებ, რომ ზემოთ მითითებული ინფორმაცია ზუსტია და ვეთანხმები მოთხოვნილი სერვისის პირობებს.

სახელი: _____

თანამდებობა: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

წარდგენის ინსტრუქციები:

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

- შევსებული ფორმა გამოაგზავნეთ შემდეგ მისამართზე: [ელ.ფოსტის მისამართი] ან ატვირთეთ დადგენილი ონლაინ პორტალის მეშვეობით: [ბმული].
 - დამატებითი დახმარებისთვის დაუკავშირდით [მხარდაჭერის გუნდი/ტელეფონის ნომერი].
-

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

გაუმართაობის/მომსახურების პრობლემების შესახებ შეტყობინების ფორმა.

MVNO, ეროვნული როუმინგის თანალოკაციის სერვისებისთვის

სექცია 1: ზოგადი ინფორმაცია

1. ანგარიშის მომზადების სუბიექტი:

- ოპერატორის სახელი: _____
- საკონტაქტო პირი: _____
- თანამდებობა: _____
- ელ.ფოსტა: _____
- ტელეფონი: _____

2. ანგარიშის წარდგენის თარიღი და დრო:

- თარიღი: _____
- დრო (სს:წწ, 24-საათიანი ფორმატი): _____

სექცია 2: შეფერხების დეტალები

1. შეფერხების აღწერა:

- შეფერხების ტიპი:
 - ხმა
 - SMS
 - მონაცემთა გადაცემა
 - ეროვნული როუმინგი
 - სხვა (მიუთითეთ): _____

- შეფერხების ხანგრძლივობა:
 - დაწყების თარიღი და დრო: _____
 - დასრულების თარიღი და დრო: _____
 - საერთო ხანგრძლივობა: _____

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

2. გეოგრაფიული ზეგავლენა:

- დაზარალებული ადგილები (ქალაქები/რეგიონები):

3. მომხმარებელთა ზეგავლენა:

- დაზარალებული მომხმარებლების რაოდენობა:

4. შეფერხების მიზეზი:

- ქსელის ტექნიკური მწყობრის დაზიანება
- პროგრამული გაუმართაობა
- ელექტროენერჯის გათიშვა
- ოპტიკური კაბელის გაწყვეტა
- მესამე მხარის საკითხი
- სხვა (მიუთითეთ): _____

სექცია 3: გამოსწორების დეტალები

1. გადაწყვეტის მიზნით განხორციელებული ქმედებები:

- _____

2. პრობლემის გამოსწორების თარიღი და დრო:

- თარიღი: _____
- დრო: _____

3. პროფილაქტიკური ზომები შემდგომი შეფერხების თავიდან ასაცილებლად:

- _____
-

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - პროცესები

სექცია 4: დადასტურება

ვადასტურებ, რომ ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ზუსტია და შეესაბამება რეალობას.

სახელი: _____

თანამდებობა: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

წარდგენის ინსტრუქციები:

1. შევსებული ფორმა გამოაგზავნეთ შემდეგ მისამართზე: [ელ.ფოსტის მისამართი] ან ატვირთეთ [ვებ პორტალის/ბმულის] მეშვეობით.
 2. გადაუდებელი შემთხვევებისთვის დაუკავშირდით [ცხელი ხაზის/მხარდაჭერის ნომერი].
-